დაიწყო სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, 2010 წლიდან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას საარჩევნო სმართლის დარგში.

სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართლის დარგში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

2014 წლის მდგომარეობით სწავლების ცენტრი სასწავლო პროგრამას ახორციელებს:

- 16 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული, ჟურნალისტიკის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის (11 - თბილისში და 5 - რეგიონში მოქმედი უნივერსიტეტი);
- ცესკოში მოქმედი იურიდიული კლინიკის პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის.

2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სასწავლო პროგრამა ხორციელდება 7 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი	
N	უნივერსიტეტი
1	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
3	გორის სასწავლო უნივერსიტეტი
4	ილიას სახელობის უნივერსიტეტი
5	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი	
N	უნივერსიტეტი
1	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
2	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად სწავლების ცენტრის მიერ მომზადდა:

- დამხმარე სახელმძღვანელო ლექტორებისათვის;
- ელექტრონული პრეზენტაციები;

- დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის.

სასწავლო მასალა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია;
- საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები;
- საარჩევნო სისტემები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა;
- წინასაარჩევნო კამპანია;
- არჩევნების დაფინანსება;
- არჩევნების მონიტორინგი და მედია;
- საარჩევნო დავები;
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები;
- საქართველოს პარლამენტის არჩევნები;
- აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები;
- ქალაქ თბილისის მერის არჩევნები;
- რეფერენდუმი და პლებისციტი.

სწავლება მიმდინარეობს შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენებით:

- ელექტრონული სწავლება;
- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება;
- როლური თამაშები (იმიტირებული კენჭისყრის პროცედურების, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით იმიტირებული პრესკონფერენციების, დებატების, კონკურსების ორგანიზება).